

ავტორი: მარიამ შენგელია, ფილოსოფიის დოქტორანტი

## ევროპის საიმიგრაციო პოლიტიკა და ქართველები

« 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით: ერთკვირიანი მობილიზაცია და აქცია უცხოელებისთვის განკუთვნილი ყველა დაკავების ცენტრის საწინააღმდეგოდ, ყველა დაკავებულის დაუყოვნებელი გათავისუფლებისათვის და ვახტანგისათვის» - ამ სათაურით გამოქვეყნდა იტალიელი აქტივისტების მიმართვა ახალგაზრდა ქართველი ემიგრანტის, ვახტანგ ენუქიძის გარდაცვალების შემდეგ. ვახტანგ ენუქიძე იმყოფებოდა იტალიის ქალაქ გრადისკა დ' ისონზოს, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი უცხოელებისთვის განკუთვნილ დაკავების ცენტრში (CPR) და გარდაიცვალა გორიცის საავადმყოფოში, მას შემდეგ, რაც იგი პოლიციელების მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა.

იტალიის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ აქციებს შეუერთდნენ აქტივისტები პარიზიდანაც. 2 თებერვალს, ბარბესზე შეკრებილი აქციის მონაწილეები მეგაფონით იუწყებოდნენ ვახტანგ ენუქიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ დეტალებს. იტალიელი აქტივისტების მიერ შედგენილი პრეს-რელიზი კი, რომელიც იტალიურ მთავრობასა და მედიას ბრალს სდებს კრიმინალური საკითხის მინიმალიზაციაში, ამ შემთხვევის შესახებ დამატებით ინფორმაციებს იძლევა:

« პრეფექტურამ და პროკურატურამ ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ ეს საქმე თავიდანვე მინიმალიზირებულიყო: « გარდაიცვალა ერთი ემიგრანტი ჩხუბის შედეგად » ამ სათაურით აქვეყნებდნენ სტატიებს ჟურნალები, მას შემდეგ რაც Melting Pot-მა გვაუწყა სიახლე.

მიუხედავად ამისა, მოვახერხეთ ცენტრში მყოფ დაკავებულთა სათქმელის გარეთ გამოტანა, როგორც არა ერთხელ უქნიათ სოლიდარობით განწყობილ სხვა პიროვნებებს წლების მანძილზე.

ამის შედეგად, პრესამ გააჟღერა საქმის ის ვერსიაც, რომელიც ვახტანგის ამხანაგების მიერ იქნა გაჟღერებული: « ცემის შედეგად სიკვდილამდე მიყვანილი ახალი კუჩი, ამჯერად უცხოელი, დაკავების ცენტრში (CPR) მყოფი და არა ციხეში ».

ვახტანგი იყო ოცნებების მქონე ცოცხალი ადამიანი, გამოკეტილი კარცერულ ჯოჯოხეთში, რომელიც რასისტული კანონების საფუძველზე შეიქმნა. უცხოელები გამოკეტილნი არიან დაკავების ცენტრში (CPR) მთლიანად იტალიის ტერიტორიაზე, და ეს მხოლოდ იმ მიზეზით, საბუთები არ აქვთ წესრიგში.»<sup>1</sup>

ვახტანგი არ არის ერთადერთი არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი უცხოელი, ვისაც ევროპაში დამკვიდრების სურვილი სიცოცხლის დასრულების ფასად უჯდება. პარიზში შეკრებილმა აქტივისტებმა, ვახტანგთან ერთად გაიხსენეს ისინი, ვინც საფრანგეთში ბოლო თვეების მანძილზე მიგრანტთათვის განკუთვნილ დაკავების ცენტრს შეეწირნენ: 19 წლის ტუნისელი მუჰამედი ვინსენის დაკავების ცენტრში გარდაიცვალა ნოემბერის თვეში, აგვისტოში კი - ოციოდე წლის რუმანელი მიგრანტი, ხოლო ქალაქ რენში, დეკემბერის თვეში ერთ-ერთმა

<sup>1</sup> <https://nofrontierefvg.noblogs.org/post/2020/01/28/799/>

დაკავებულმა იზოლატორში ყოფნას თვითმკვლელობა არჩია. თუკი საფრანგეთის პოლიტიკურმა ნომენკლატურამ დაკავების ადმინისტრაციული ცენტრი შემოგვთავაზა იმ ადგილის ნომინაცია, სადაც არარეგულარულ ადმინისტრაციულ სიტუაციაში მყოფი უცხოელები, უფრო სწორედ, არარეგულარული იმყოფებიან თავიანთ ქვეყანაში დეპორტირების მიზნით, სინამდვილეში ეს ადგილი სხვა არაფერია თუ არა ციხე, რომელიც ადამიანებს წარმომავლობის, ადმინისტრაციული და ფინანსური სიტუაციის მიხედვით ახარისხებს. ეს ნომინაცია ევროპის ქვეყნიდან ქვეყნამდე უმნიშვნელოდ იცვლება, მაგრამ სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ არც ერთი ევროპული ქვეყანა არ იყენებს ამ დაწესებულების ფუნქციის აღმნიშვნელ გაცილებით ადეკვატურ ტერმინს, ციხეს. დაკავების ცენტრი გვევლინება ფუძედ იმ სხვადასხვა სახელდობრივი ვარიაციებისა, რომლებსაც ევროკავშირი მლიქვნელად გვთავაზობს თავისი ანტისაიმიგრაციო პოლიტიკური ნების პოლიტკორექტულობასთან შესათავსებლად.

ვახტანგ ენუქიძის გარდაცვალება ფატალური ანარეკლია ქართული საიმიგრაციო სიტუაციისა, რომელიც ორი ტიპის პოლიტიკური სისასტიკის გზაგასაყარზეა. ერთის მხრივ, ის მყოფება ევროპის ანტისაიმიგრაციო, ფაშისტური მიდრეკილების მქონე პოლიტიკის წინაშე და მეორეს მხრივ, გაურბის საქართველოში გაბატონებულ გაჭირვებას, უთანასწორობაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურას. ქართული მიგრაციის პოლიტ-ეკონომიკური მიზეზების გაანალიზებამდე, მნიშვნელოვნია ევროპის საიმიგრაციო პოლიტიკისა და იმ სიტუაციის მოკლედ აღწერა, რომელშიც იმყოფებიან ქართველი მიგრანტები ევროპის საზღვრების გადალახვის შემდეგ.

ეპოქალური პრობლემის ეს მოკლე ვერბალიზაციის მცდელობა, პირველ რიგში, ცდილობს ხაზი გაუსვას თავშესაფრის უფლებასთან დაკავშირებულ რიგ გაუგებრობებს, რადგან სწორედ მისი მისიონერული, ჰუმანიტარული ფუნქციის წყალობით და რა თქმა უნდა, ძალაუფლების (ლოკალური თუ საერთაშორისო დონის ) პროპაგანდისტული მანქანის დახმარებით , ვერ გავიჩივია ილუზია დასავლეთის კეთილშობილების შესახებ რეალობისგან. იმისათვის, რომ ევროკავშირის სასაზღვრო პეიზაჟი კარგად დავინახოთ, საჭიროა იმ სტატისტიკურ მონაცემებზე შორს გავიხედოთ, რომლებიც გერმანიასა თუ საფრანგეთში შემორჩენილი სოციალური პროგრამების ბენეფიციართა რიცხვს აფიშირებს და დავივიწყოთ იმ რჩეულთა ისტორიები, რომლებმაც შედარებით პრივილეგირებული ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული მდგომარეობის ან სხვა სახარბიელო გარემოებათა წყალობით, ევროკავშირში ლეგალურად დარჩენა და თვითრეალიზაცია მოახერხეს. სინამდვილეში, საქმე ეხება ათი ათასობით ქართველს, რომელთათვისაც, სხვა ნაციონალობის მქონე მილიონობით ადამიანის მსგავსად, ევროპას თავის წიაღში ადგილი არ შემოუნახავს. ეს ათი ათასობით ქართველი და მილიონობით აფრიკელი თუ შუა აღმოსავლელი ადამიანი, წარმოადგენს პლანეტის არაპრივილეგირებულ უმრავლესობას, სუბალტერნებს, რომელთაც პროლეტარიატის მარქსისტული განმარტების მსგავსად, არაფერი აქვთ დასაკარგი საკუთარი ბორკილების გარდა.

რას უშვება ევროპა მათ, ვისაც გაუმართლათ და ევროპის სასაზღვრო კარიბჭის გადალახვა მოახერხეს სიცოცხლის დაკარგვის გარეშე? დავიწყოთ იქიდან, რომ ევროპის ყველა ქვეყანაში მიგრანტთა დაკავების ცენტრები ადამიანთა ტევადობის მაქსიმუმს აჭარბებს. უფრო მეტიც, საბერძნეთში, ლესბოსის კულძულზე, 3 000 ადამიანისთვის განკუთვნილ მორიას დაკავების ცენტრში 20 000 დაკავებული იმყოფება. ამ ყველაფერთან ერთად, საბერძნეთის მთავრობა, ადგილობრივი მოსახლეობისა და აქტივისტების პროტესტის, ფიზიკური დაპირისპირებისა და შეწინააღმდეგების მიუხედავად, დამატებითი დაკავების ცენტრების აშენებას უკვე შეუდგა. ამგვარად, დაკავების ცენტრებს შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე ევროპის გულაგები,

რომლებიც ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ადამიანებს გარდაქმნის თავიდან მოსაცილებელ, სასაწყობო და გადასაზიდ ნივთებად. ეს არასასურველი კატეგორიის ადამიანები მოდიან ევროპის გარეთ მყოფი ტერიტორიებიდან, ხშირად ევროპის ყოფილი კოლონიებიდან, რომლებსაც სიმპტომატურად «პერიფერიულ» ქვეყნებს ვუწოდებთ და გვევლინებიან იმ ყველაფრის ინდივიდუალურ განსხეულებად, რასაც «ცენტრის» ყოველდღიურობა მხოლოდ მინიმალური ფორმით თუ იცნობს: ომი, პოლიტიკური თუ სექსუალური შევიწროება, შიმშილი, სიღარიბე და ავადმყოფობა. მაშასადამე, ევროპის საზღვრები, თავისი დაკავების ცენტრებით ადგილს უტოვებს მხოლოდ სასოწარკვეთას, ხოლო მილიონობით ინდივიდთან ერთად, მიწას აცლის გადარჩენისთვის გაღებულ ძალებსა და იმედს. იმედს, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, შედეგია იმ სარეკლამო კამპანიისა, რომელიც თავად დასავლეთმა და ევროკავშირმა აამუშავა სამაგალითო დემოკრატიის ილუმინის შესაქმნელად. ამ ილუმინის გასაქარწყვლად, საკმარისია გავიხსენოთ ევროპის კოლონიალური და იმპერიული ისტორია, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობს «პერიფერიაში» გადაადგილებული ომების, ეკონომიურ-ინდუსტრიალური ექსპულატაციისა და უთანასწორობის სახით. ევროპა არა თუ არ არის დემოკრატიის ემბლემა, არამედ განასახიერებს სისტემურ ძალადობას ჩაკეტილი საზღვრებისა და ყველა იმ მილიტარული, კარცერული ინსტიტუციის სახით, რომელიც მისი ტერიტორიების ჰერმეტიულობის გარანტია.

### საქართველო ევროპის ანტისამიგრაციო პოლიტიკაში

მიუხედავად მისი რასისტული, მკაცრი ანტისამიგრაციო პოლიტიკისა, ევროპის საზღვრები ყოველდღიურად იკვეთება მათ მიერ, ვისაც ეს ტერიტორიები არ განეკუთვნება. თუკი აფრიკის კონტინენტიდან მომავალი მიგრანტები ლიბიის ციხეებში მონობისა და ხმელთაშუა ზღვაში დაღუპვის საფასურად იღებენ ევროპამდე მიღწევის რისკს, საქართველო, 3 წელია, რაც მეტად პრივილეგირებულ სიტუაციაშია ვიზა ლიბერალიზაციის შედეგად. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ OFPRA<sup>2</sup> -ს 2018 და 2019 წლის მონაცემებით, საქართველო არის მესამე ქვეყანა საფრანგეთში თავშესაფრის მომთხოვნელთა რაოდენობის მიხედვით, ავღანეთისა და ალბანეთის შემდეგ (6 717 – 2018 წელს და 7 754 – 2019 წელს). თავშესაფრის უფლება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1951 წლის ჟენევის კონვენციის შედეგად იქნა შემოღებული, *ლტოლვილის სტატუსს* აძლევს იმ მიგრანტებს, ვისაც «*თავის ქვეყანაში დევნის საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებისა თუ პოლიტიკური შეხედულებების გამო.*»<sup>3</sup> ლტოლვილის სტატუსს მოგვიანებით, 2004 წელს დაემატა *დროებითი დაცულობის სტატუსი* (subsidiary protection) ევროკავშირის მასშტაბით, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო დაცულობას იღებს ის პირი, ვისაც თავის ქვეყანაში სიკვდილის სასჯელისა თუ არაჰუმანური მოპყრობის საფრთხე ემუქრება, ხშირად მილიტარული კონფლიქტით გამოწვეული სიტუაციის კონტექტში.

თუკი ევროპა მზადაა მფარველობა გაუწიოს იმ მიგრანტებს, რომელთა ქვეყნიდან გადაადგილების სურვილი შეესაბამება ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, სამწუხაროდ, მისი მანსჰინძლობის განმარტებაში არ შედის სიღატაკისა თუ ავადმყოფობის ნიადაგზე თავის გადასარჩენად წამოსული მიგრანტების მიღება. ამგვარი ინფორმაციის ნაკლებობის შედეგად კი სახეზე ვიღებთ იმ გულის მომაკვდინებელ გაუგებრობას, როდესაც ფრანგი ოფიცრის მიერ

<sup>2</sup> Office Français de Protection des Réfugiés et Apatrides - ლტოლვილთა და აპატრიდთა დაცვის ფრანგული ოფისი, იგივე, ოფპრა, გახლავთ ერთადერთი სახელმწიფო ინსტანცია, რომელსაც ხელეწიფება გადაწყვეტილების მიღება ლტოლვილის სტატუსის ან დროებითი დაცულობის მინიჭების შესახებ. თავშესაფრის მომთხოვნის შემთხვევაში, სწორედ ოფპრა განიხილავს თქვენს დოსიეს, ხოლო მისი მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გაქვთ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში, CNDA.

<sup>3</sup> 1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენციის პირველი მუხლის A2 ქვეთავი.

დასმულ შეკითხვაზე სიცოცხლის ხელყოფის საშიშროების შესახებ, ქართველი მიგრანტი დადებითად პასუხობს და მხედველობაში იღებს მკურნალობის შეუძლებლობის გამო სიცოცხლის გარისკვას საშიშროებას. რა თქმა უნდა, გულწრფელი პასუხის გაცემა შეიძლება მომაკვდინებელი შეცდომა გახდეს იმათთვის, ვინც ლეგალიზაციას ესწრაფვის. ამავდროულად, თავშესაფრის გამცემი ერთადერთი სახელმწიფო ინსტანცია საფრანგეთში, OFPRA, თავის მხრივ, საკმარისად ვერაგი და გამართულია იმისათვის, რომ ყალბი პასუხების დეტექტირება მარტივად შეძლოს. მთელი ამ ადმინისტრაციული და იურიდიული დახარისხების შედეგად, რა თქმა უნდა, ქართველი მიგრანტი, რომელიც მომაკვდინებელ დაავადებას ვერ ერევა გაუმართავი, არაკომპეტენტური და ხელმიუწვდომელი ქართული ჯანდაცვის სისტემის გამო, ვერ ხვდება იმ მიგრანტთა სიაში, რომელიც « იმსახურებს » ევროპის მფარველობას. ამ ყველაფერს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქართველო შედის უსაფრთხო ქვეყნების სიაში, რომლის დახარისხების კრიტერიუმიც დღემდე ბუნდოვანი რჩება. უსაფრთხო ქვეყნებიდან მომავალი მიგრანტები, რომლებიც ეკონომიკური მიზეზით ითხოვენ ევროპაში თავშესაფრს განხილვის *დაჩქარებულ პროცედურაში* ხვდებიან, რათა სადეპორტაციო მანქანამ მარტივად და რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს მათი დეპორტაცია.

მიუხედავად თავშესაფრის მოთხოვნის *დაჩქარებული პროცედურისა*, ბიუროკრატიული მანქანის რელსები შეიძლება საკმარისად ნელი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ქართველმა მიგრანტმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო დახმარების უფასოდ მიღება შეძლოს. მკურნალობისთვის საჭირო დროის მოგება კი ისევ და ისევ ადმინისტრაციული პროცედურების ხარჯზე ხდება : პირველი ინსტანციისგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ თავშესაფრის მოთხოვნაზე, უმაღლესი სასამართლო ინსტანცია იძლევა გასაჩივრების საშუალებას.

თუმცა, ძალაუფლება, როგორც ყოველთვის, მარტივად ადაპტირდება ახალ რეალობებს და აქაც, ევროპის კეთილდღეობის პოლიტიკით მოსარგებლე თავშესაფრის მომთხოვნელ პირთა წინააღმდეგ ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება დაიწყო. მაგალითად, თუკი აქამდე, საფრანგეთში მყოფ ქართველ მიგრანტს შეეძლო *უფასო სახელმწიფო სამედიცინო დახმარების (AME)* <sup>4</sup> მიღება თავშესაფრის მოთხოვნისთანავე, 2019 წლის 6 ნოემბერს წარდგენილი კანონპროექტის მიღების შემდეგ, სამედიცინო დახმარების მიღება შესაძლებელია საფრანგეთის ტერიტორიაზე შემოსვლიდან **მხოლოდ 3 თვის შემდეგ**. ზემოთ ხსენებული კანონპროექტი ეყრდნობა სოციალური საკითხებისა (IGAS) და ფინანსთა საკითხების ზოგადი ინსპექციის (IGF) ანალიზებს, რომელთა მიხედვითაც მიგრაციის მატების მიზეზებში სახელდება « მიგრაცია მკურნალობის მიზნით ». სამთავრობო ინსპექციათა ანალიზი, თავის მხრივ, ეყრდნობა საფრანგეთის საბიუჯეტო ანალიზს, რომელიც ავლენს უცხოელებისათვის განკუთვნილი სამედიცინო სერვისებისა და შესაბამისად, მათი ხარჯების ზრდას. ამ ექსპერტიზის მიხედვით, *სახელმწიფო სამედიცინო დახმარების (AME)* ფარგლებში, დიალექზე მკურნალობამ 43 %-ით იზარდა, ხოლო ონკოლოგიურ ქიმიოთერაპიაზე - 25 %-ით. <sup>5</sup>

საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების შეტანა, რა თქმა უნდა, პირდაპირი გზავნილია საფრანგეთის მთავრობის მხრიდან იმ ნაციონალობის წარმომადგენელთა მიმართ, ვინც თავშესაფრის პროცედურით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების (სამედიცინო თუ ფინანსური) ბენეფიციარი გახდა მიუხედავად იმისა, რომ მისი დაცულობის მოთხოვნის მოტივები არ შეესაბამებოდა ჟენევის კონვენციის მიერ დადგენილ განსაზღვრებებს. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ახალი კანონმდებლობის მიზანია მკურნალობისთვის საჭირო ვადის შემცირება უცხოელთათვის მათი ქვეყნიდან უახლოეს ვადებში დეპორტირების იმედით.

<sup>4</sup> უფასო სამედიცინო დახმარება იმ უცხოელებისთვის, რომლებიც ან თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურაში არიან ან არალეგალურ სიტუაციაში.

<sup>5</sup> <https://www.banquedesterritoires.fr/reforme-de-lame-des-mesures-justifiees-selon-le-rapport-de-ligas-et-de-ligf>

ამგვარად, თავშესაფრის უფლება იმდენად შეიძლება მივიჩნიოთ თვითგადარჩენის უფლებად, რამდენადაც იგი არ გულისხმობს სიღარიბისგან თუ ავადმყოფობისგან გადარჩენას. თავშესაფრის უფლებით, ევროპა ერთდროულად ხაზს უსვამს თავის ეკონომიურ და დემოკრატიულ დომინაციას, რადგან ლტოლვილის სტატუსის გაცემა პოლიტიკური, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობებისთვის სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა თავისივე დიქტატორული წარსულისთვის ხარკის გაღებასა და თანამედროვეობის დემოკრატიაზე ჰეგემონიის შენარჩუნებას. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმ პირობით, რომ დემოკრატია შეიძლება განაწილებადი იყოს, ხოლო დაგროვებული კაპიტალი - არა.

ანტისაიმიგრაციო კონტექსტის გარდა, ქართველი მიგრანტების სიტუაცია სოციალური სერვისების გაუმართავობითაც მწვავედება. საკანონმდებლო ძალის მიხედვით, თავშესაფრის მომთხოვნელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დროებითი ფულადი დახმარებითა და საცხოვრებელით პროცედურის დასრულებამდე. რა თქმა უნდა, როდესაც ევროპის გრძელ ავენუებზე გადაჭიმულ მიგრანტების კარვებს ვაწყდებით, რთული გასაგები არ უნდა იყოს, რომ თეორიულ დონეზე გარანტირებული უფლება სულაც არ გულისხმობს მის პრაქტიკულ დონეზე აღსრულებას. თუკი, ა პრიორი, თავშესაფრის მომთხოვნელი ყოველი პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური საცხოვრებელით, რეალურად, ამ დახმარებით სარგებლობას ახერხებენ ისინი, ვინც ეგრეთ წოდებული პრიორიტეტული კატეგორიის სიაში შედიან, ანუ ოჯახები ბავშვებით და ქალები. ეს კი იმიტომ, რომ ევროპაში მიგრაცია მატულობს, სოციალური საცხოვრებლების რაოდენობა კი - არა. ამის დასტურად, საკმარისია, გავისხენოთ, ქალაქ მონპელიეში ქართველი მიგრანტების მიერ გამართული აქცია, რომლებიც, კარვების ზონიდან, თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურით გათვალისწინებულ დროებით საცხოვრებლებს ითხოვდნენ.<sup>6</sup>

საცხოვრებელი ადგილის მოპოვების ლეგალური გამოსავლის გარდა, ქართველი მიგრანტების დიდი უმრავლესობისთვის სხვა ტიპის, პოლიტიკურ ჟესტად ქცეული არალეგალური ფორმებიც მიუწვდომელია. სხვა წარმომავლობის მიგრანტთა გარკვეული ჯგუფები ახერხებენ დამოუკიდებლად, ან აქტივისტების დახმარებით კოლექტიურ ორგანიზებას ისე, რომ დროებითი ჭერი იშოვონ სკვოტების მეშვეობით. სკვოტის პრაქტიკა გულისხმობს მიტოვებულ, აქტივობის ან მაცხოვრებლის გარეშე დარჩენილი შენობების დაკავებას და მის დროებით საცხოვრისად ქცევას იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ სასამართლო შენობისგან გაძევების გადაწყვეტილებას არ გამოიტანს. თუმცა, ქართველი მიგრანტებისთვის ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ უცხოა, რაც სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზს უკავშირდება, მათ შორის კი, ყველაზე ცხადად, კომუნიკაციის პრობლემას ენის ბარიერის გამო და ქართული დიასპორის სუსტი ფორმით არსებობას.

## რეპრესია და პასუხი საქართველოს მხრიდან

ზემოთ აღწერილი სურათი, ცხადია, ამომწურავად არ ასახავს იმ რეალობას, რომელსაც ქართველი მიგრანტები აწყდებიან ევროპაში. ამისათვის, საჭიროა მეტი ადგილი დაეთმოს იმ ადამიანთა სიტყვას, ვისაც პირადად ეხება ეს სიტუაცია და ვინც თავად იცის თუ რას ნიშნავს ერთის მხრივ, საკუთარ ქვეყანაში სოციალური უსამართლობისა და მეორეს მხრივ, საოცნებო ევროპის უცხო ქვეყანაში რასიზმისა და სასოწარკვეთის გამოცდილება.

რაც არ უნდა რთული წარმოსადგენი იყოს, საიმიგრაციო პრობლემების ეკონომიკური და სოციალური მიზეზების ანალიზის მაგივრად, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების ექსპორტაციაზე გადის. ეკონომიკური გეგმა, რომელიც ადამიანების

<sup>6</sup> [https://actu.fr/occitanie/montpellier\\_34172/montpellier-150-a-200-migrants-georgiens-devant-la-prefecture\\_23433799.html](https://actu.fr/occitanie/montpellier_34172/montpellier-150-a-200-migrants-georgiens-devant-la-prefecture_23433799.html)

საბაზრო ნივთად, იგივე სამუშაო ძალად გაყიდვას ეფუძნება საქართველოს მთავრობის ანტისოციალური პოლიტიკის კიდევ ერთი დასტურია. ამ სცენარის მთავარ ავტორად, არც მეტი არც ნაკლები, ბიძინა ივანიშვილი გვევლინება<sup>7</sup>, რომლისთვისაც, ცხადია, აბსოლუტურად უცხოა ის ყველა სირთულე, რომლის გადალახვაც უწევთ საქართველოს მოქალაქეებს თავიანთ თუ უცხო ქვეყანაში. თუკი გადავხედავთ საქართველოს ეკონომიკის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემას, მარტივად მივხვდებით, რომ საქართველოს მოსახლეობის მხრიდან ევროპაში სამუშაოდ თუ თავშესაფრის მოსათხოვნად გასვლის ასეთი მზარდი მაჩვენებელი არა მათი მიგრაციის *სურვილზე* მეტყველებს, არამედ იმ სიტუაციაზე, რომელიც მათ *იძულებელს* ხდით იმიგრირდნენ. ისევე, როგორც ავლანეთიდან მომავალი მიგრანტები *იძულებულნი* არიან გაექცნენ თალიბანს, და სირიიდან მომავალი მიგრანტები - დაუსრულებელ ომს, ქართველი მოსახლეობა *იძულებულია* გაექცეს სიკვდილს სამუშაო ადგილებზე, ან შიმშილს - სამუშაო ადგილის გარეშე დარჩენის შემთხვევაში; მომაკვდინებელ დაავადებას, რომლის მკურნალობისთვისაც საჭირო თანხა ერთადერთი საცხოვრებელი სახლის ღირებულებას აღემატება ან რომლის მკურნალობისთვისაც საჭირო სამედიცინო პროფესიულ დონესა და აპარატურას სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს.

როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამარჯვების ელფერით გვესაუბრება ევროპაში ცირკულარულ მიგრაციაზე, მას ავიწყდება, რომ ევროპას საკმარისზე მეტი « მუშა ხელი » ჰყავს, როგორც ლეგალურ, ასევე შავ ბაზარზე და რომ ევროპის სასაზღვრო პოლიტიკა შეიძლება არა თუ სასარგებლო, არამედ მომაკვდინებელი აღმოჩნდეს ქართველი მოქალაქეებისთვის. მისი ახალი დაპირება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების შესახებ არა მხოლოდ სამთავრობო პარტიის პოლიტიკურ უსუსურობასა და სისუსტეს ავლენს, არამედ ააშკარავებს იმას, თუ ხალხისგან რამდენად შორს დგას თავად ბიძინა ივანიშვილი. მისი დაპირებები ევროპის გავლით ეკონომიკური ხსნის შესახებ, უარეს შემთხვევაში დაცინვა და მასხარაობაა, ხოლო უკეთეს შემთხვევაში - უპასუხისმგებლობა და უვიცობა. ნუთუ სამთავრობო პარტიის თავმჯდომარემ არ იცის, რომ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, კრისტოფ კასტანერის ვიზიტი საქართველოში პოლიტიკური ლეგიტიმაცია იყო იმისა, რომ საფრანგეთს კუდიანებზე ნადირობა გამოეცხადებინა, ანუ აემუშავებინა სადეპორტაციო მანქანის ყველაზე მახინჯი მხარეები? როდესაც ბიძინა ივანიშვილი აგრძელებს *ნაციონალური მოძრაობის* მიერ ინიცირებულ ილუმორულ დისკურსს დასავლეთის შესახებ, ნუთუ მან არ იცის, რომ ქართველები პოლიციური თუ ადმინისტრაციული ძალადობისა და რეპრესიის პირველი მსხვერპლნი არიან თავშესაფრის მომთხოვნელ მიგრანტთა შორის? ნუთუ არავინ აცნობებს პარტიის თავმჯდომარეს იმის შესახებ თუ რას წერენ საერთაშორისო გამოცემები ქართული მიგრაციის შესახებ? საძნელო საქმე რომ არ იყოს, საკმარისია გადავხედოთ ფრანგული პრესის ერთ-ერთი მთავარი გამოცემის « Le Monde » სტატიას, რომელიც კრისტოფ კასტანერის ვიზიტს თბილისში შემდეგი სათაურით აქვეყნებს: « *საფრანგეთი იბრძვის საქართველოს მხრიდან თავშესაფრის უფლების ანომალური მოთხოვნის წინააღმდეგ.* »<sup>8</sup>

გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ არც პარტიის თავმჯდომარე, არც მინისტრები თუ ყოფილი მინისტრები, დასავლეთის პროპაგანდის მთავარი ავტორები და მათი მედიები, არ ინტერესდებიან იმით, თუ რას ნიშნავს კონკრეტულად, საფრანგეთის მხრიდან ქართველ მიგრანტთა წინააღმდეგ ბრძლა. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობას ორმაგი წვლილი მიუძღვის ქართველი მიგრანტების უცხოეთში რეპრესიაში: ერთის მხრივ, მათი მიგრაციის მიზეზები სწორედ იმ ეკონომიკურ და სოციალურ სისტემას უკავშირდება, რომლის მეთავეებიც

<sup>7</sup> ბიძინა ივანიშვილის განცხადება 27 ნოემბერს ტელეკომპანი „იმედის“ ეთერში [https://www.youtube.com/watch?v=GRI-xx5jyWU&feature=youtu.be&fbclid=IwAR1fr4Ro3vewZjBjIAzSblMCqK-sNU\\_he0C9Z10IsaFfj4XuK60AuHCTGQ](https://www.youtube.com/watch?v=GRI-xx5jyWU&feature=youtu.be&fbclid=IwAR1fr4Ro3vewZjBjIAzSblMCqK-sNU_he0C9Z10IsaFfj4XuK60AuHCTGQ)

<sup>8</sup> [https://www.lemonde.fr/societe/article/2019/05/10/la-france-veut-lutter-contre-les-demandes-d-asile-georgiennes\\_5460738\\_3224.html](https://www.lemonde.fr/societe/article/2019/05/10/la-france-veut-lutter-contre-les-demandes-d-asile-georgiennes_5460738_3224.html)

თავად არიან და მეორეს მხრივ, საფრანგეთის ძალადობრივი სადეპორტაციო ოპერაციების მოკავშირეებადაც თავად გვევლინებიან. სინამდვილეში, ქართველი მიგრანტები სოლიდარობასა და თანადგომას მხოლოდ ადგილობრივი აქტივისტებისა და ასოციაციების მხრიდან თუ იღებენ. სწორედ ამ კონტექსტში მოეწყო აქცია 4 ოქტომბერს ქალაქ რენში, საფრანგეთში, სადაც იქ შეკრებილი აქტივისტები აპროტესტებდნენ ქართველ მიგრანტთა დეპორტაციის არალეგალურ ხასიათს, საპროცესო დარღვევებსა და პოლიციის მხრიდან ძალადობას. ეს ყველაფერი კი მაშინ, როდესაც ეს უკანონო დეპორტაცია ქართული ავიაკომპანიის, **Georgian Airways**-ის მიერ ხორციელდებოდა და სპეციალურ, ჩარტერულ რეისში **40-მდე ქართველი პოლიციელი იყო მობილიზირებული**. თუ როგორ წარიმართა თავშესაფრის მომთხოვნელ პირთა დაკავების პროცესი, ამას ერთ-ერთი იურიდიული ასოციაციის საიტზე ვიტყობთ, რომელიც მსხვერპლთა ჩვენებებს აქვეყნებს აქტივისტებისა და სხვადასხვა ასოციაციების დახმარებით :

*« ინსულტის შემდეგ სხეულის ერთ მხარეს პარალიზირებული ვარ (ხელი და ფეხი ) და ხელჯობის დახმარებით გადავაადგილდები. სხვა პათოლოგიებიც მაქვს : გავდივარ გულის, ნევროლოგიურ, ჰემატოლოგიურ და ფიზიოთერაპიულ მკურნალობას. მკაცრი სამედიცინო მკურნალობა მაქვს დანიშნული, რომელიც უნდა გავრძელებულიყო 2020 წლის ნოემბრამდე. ყველა სამედიცინო სერთიფიკატი ვაჩვენე პოლიციელებს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩვენს დასაკავებლად. თან ყურადღება გავამახვილე იმ საბუთზე, რომელიც იუწყება, რომ ნებისმიერი ყოველდღიური საქმიანობისთვის მესაჭიროება ჩემი მეუღლის დახმარება « დამოუკიდებლად გადაადგილების შეზღუდვის » (სამედიცინო ცენტრის Louis Guillou-ს დასკვნის მიხედვით) გამო. მიუხედავად ამისა, დაკავების დროს, პოლიციელებმა დამაშორეს ჩემს მეუღლესა და შვილს.*

*ოცდაათამდე პოლიციელი მოვიდა სასტუმროში ორი ოჯახის მოსაძებნად, ერთი ჩემი და მეორე სხვისი. თავიდან წყნარად იყვნენ. ყველამ მოითხოვა ექიმის, თარჯიმნის და სოც. მუშაკების ნახვა, ასოციაციებთან დაკავშირება და .აშ. გვიპასუხებს « დიას, ხვალ დილიტ... » და გვაიძულებს ადგილის დატოვება. პოლიციელებს ვევედრებოდი, რომ ჩვენი უფლებები დაეცვათ. მეორე ოჯახმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა და ამ დროს პოლიციის დამატებით ეკიპაჟს დაურეკეს (დაახლოებით 12 დიდი მანქანა... მხოლოდ ორი ოჯახისთვის !). მეორე ოჯახის ზრდასრულ პირებს გაუსკოჩეს ხელები, ფეხები და პირი, ბავშვები დაპანიკებული იყვნენ და ყვიროდნენ. ამ დროს პოლიციელები ძალიან გაღიზიანდნენ. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია, უბრალოდ ვთხოვე წყნარად გაეკეთებინათ, მაგრამ უფრო მეტად აგრესიულები გახდნენ და ორმა პოლიციელმა ხელით გამათრია... »<sup>9</sup>*

გარდა ფიზიკური ძალადობისა და უღირსი მოპყრობისა, ქართველი მიგრანტების დაკავებისა და დეპორტაციის პროცედურა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რიგი იურიდიული დარღვევების, თავშესაფრის პროცედურით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ხარჯზე ხდება. ასოციაციებისა და ადვოკატების სიტყვებით « **სამარცხვინო დაკავებისა და დეპორტაციის** » სიაში შედის აგრეთვე 28 ივნისს, ქალაქ ტულუზიდან 90 ქართველი მიგრანტის ჩარტერული რეისით დეპორტაცია. პირველ რიგში, აღვნიშნოთ ის, რომ ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის მიხედვით, ჩარტერული, ანუ კოლექტიური ფრენების ორგანიზება უცხოელთა დეპორტაციის მიზნით აკრძალულია<sup>10</sup>, ხოლო 2014 წელს, თავად ევროპის ადამიანთა უფლებათა დაცვის სასამართლომ დამნაშავედ სცნო რუსეთი ქართველი მიგრანტების კოლექტიური დეპორტაციისთვის.<sup>11</sup> რაც შეეხება საპროცესო ხარვეზებს,

<sup>9</sup> <https://www.lacimade.org/rafle-de-georgiens-mobilisation-en-bretagne/>

<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მეოთხე პროტოკოლი, მუხლი 4.

[https://www.echr.coe.int/Documents/Library\\_Collection\\_P4postP11\\_STE046F\\_FRA.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Library_Collection_P4postP11_STE046F_FRA.pdf)

<sup>11</sup> <https://legrandcontinent.eu/fr/2019/02/03/la-russie-condamne-par-la-cedh-a-verser-10-millions-deuros-a-la-georgie/>

მიგრანტთა დეპორტაცია რიგ ადმინისტრაციულ და იურიდიულ პროცედურასთანაა დაკავშირებული, რომელიც, ქართველი მიგრანტების კოლექტიური დეპორტაციის ფარგლებში სასწაულებრივად გაუჩინარდა: ქვეყნის დატოვების მიზნით დაკავებულ პირს გადაეცემა *ქვეყნის დატოვების ვალდებულება* (OQTF), რომლის ადმინისტრაციულ სასამართლოში გასაჩივრებაც დაკავებული პირის უფლებაა. გარდა ამისა, დაკავებაში შენარჩუნების გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სასამართლო სხდომის დანიშვნა *თავისუფლებისა და დაკავების მოსამართლის წინაშე* (JLD), რომელიც ამოწმებს დაკავების პროცედურის კანონიერების ფარგლებში წარმართვას. არც ერთი ეს პროცედურა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების აუცილებლობას გულისხმობს, არ დაცულა საფრანგეთის პოლიციის მხრიდან ქართველ მიგრანტთა დეპორტირების დრო. როგორც ადვოკატი სოფი მამასი, ადამიანთა უფლებების დაცვის ლიგის პრეზიდენტი აცხადებს, საქმე ეხება « ძალაუფლებათა გადანაწილების პრინციპის შელახვას ».<sup>12</sup> ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ გაძევებულ პირთა უმრავლესობას თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურა დასრულებული არ ჰქონდა და სააპელაციო ინსტანციის (CNDA) მხრიდან გადაწყვეტილების გამოტანას ელოდა, ფაქტი, რომელსაც წესით, აღსრულების შემაჩერებელი ძალა უნდა ჰქონოდა.

მთელი ამ უსამართლობის, იურიდიული, პოლიციური თუ სახელმწიფოებრივი ძალადობის მსხვერპლი, როგორც ევროპაში, ისე საქართველოში სოციალური პირამიდის ყველაზე სუსტი რგოლია. თუკი რამდენიმე ასობით ადამიანი ევროპაში შრომითი მიგრაციის ბენეფიციერია, ეს მხოლოდ იმ სოციალური ფენის ადამიანებისთვის, ვინც ევროპის მიერ წინასწარ განსაზღვრული პროფესიული და ადმინისტრაციული მოთხოვნები დააკმაყოფილა და ევროპაში ლეგალურად დარჩენის პრივილეგიით ისარგებლა. ის დიდი უმრავლესობა კი, ვინც ვერ აკმაყოფილებს ევროპის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და ვინც საქართველოდან თავის საგანგაშო მდგომარეობას გაურბის, ხშირად საზღვრების მსხვერპლი ხდება. საზღვრებს კი ევროპაში ყველაზე ვხვდებით, არა მხოლოდ თურქეთისა და საბერძნეთის ფიზიკურ საზღვარზე, არა მხოლოდ ლიბიისა და იტალიის საზღვაო საზღვარზე, არამედ მეტროპოლთა ქუჩებში, დაკავების ცენტრებში, სასამართლოსა თუ დანარჩენ სახელმწიფო ინსტანციებში, რადგან საზღვრები სხვადასხვა ფორმით განსხეულდება ძალადობრივ და კარცერულ ინსტიტუციებში. ევროპის სწორედ ამ სასაზღვრო და საიმიგრაციო პოლიტიკის მსხვერპლი აღმოჩნდა ვახტანგ ენუქიძე, ისევე როგორც იმ ეკონომიკურ-სოციალური სიტუაციისა, რომელმაც მას საქართველოს დატოვება აიძულებინა. ამ ბინარულ ჯოჯოხეთში კი ბრძოლაც ბინარული უნდა იყოს, ანუ იგი უნდა იმლებოდეს ერთდროულად საზღვრებისა და ეკონომიკური უსამართლობის წინააღმდეგ, ევროპასა თუ საქართველოში: ევროპაში უპირობო მასპინძლობის პრინციპის, თავისუფალი ცირკულაციისა და გადაადგილების უფლებისთვის, და საქართველოში - იძულებითი მიგრაციის მიზეზების აღმოსაფხვრელად.

<sup>12</sup> <https://rapportsdeforce.fr/pouvoir-et-contre-pouvoir/letat-arrete-90-migrants-en-vue-dune-expulsion-sur-vol-tgz2781-pour-tbilissi-06283962>